საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi Municipality

N 01/15036
22/06/2017

15036-01-2-201706221645

შ.პ.ს „გი-ან 2011“-ის დირექტორს
ბატონ გია კოპალეიშვილს

ბატონო გია,

გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიამ განიხილა, ქალაქ ქუთაისში, სოლომონ პირველის ქ. №46ა-ში მდებარე ე.წ. „ხარაზოვის“ სკვერში არსებული ტერიტორიის და შადრევნის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიცაპალიტეტის მერიის მიერ 2017 წლის 11 აპრილს გამოცხადებულ ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში (№**SPA170005546),** თქვენს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „შედეგების“ ველში ატვირთული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა, რომლებიც შეესაბამება სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–15 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, გთხოვთ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა მობრძანდეთ ხელშეკრულების დასადებად და თან წარმოადგინოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის, 419990 (ოთხას ცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 5%–იანი გარანტია 20999,50 (ოცი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი და 50 თეთრი) ლარის ოდენობით, რომელიც 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების თარიღს (სამუშაოების დასრულების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) კალენდარული დღე).

დამატებით გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მითითებულ ვადაში წარმოუდგენლობა, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–13 მუხლის მე–2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისია შ.პ.ს „გი-ან 2011“-ს მიანიჭებს დისკვალიფიკაციას.

პატივისცემით,
ნოდარ მიქიაშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

3 Rustaveli ave. Kutaisi. 4600, Georgia
Tel/Fax (+995431) 245454; Fax: (+995431) 246962
www.Kutaisi.gov.ge; interrelations@Kutaisi.gov.ge

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ № 3
ტელე/ფაქსი: (0431) 245454; ფაქსი: (0431) 246962